

# 2019 | წესთა სიახლეები

ახალი, 2019-20 სეზონიდან, მიზეზთა გამო, იცვლება თამაშის რამდენიმე წესი:

დაიხარეთ | ბოლო ნაწილზე | 50::22 | დაბალი ბოჭვა

1. "მსოფლიო რაგბის" 2019 წლის 15 ივლისის რელიზის თანახმად, შერკინების უსაფრთხოებისთვის ასე ჩასწორდა 19.10.ბ მუხლი [გვ.72]:

მსაჯის დამახილზე "დაიხარეთ!" [ინგლისურად "ქრაუჩ"] ... პირველი ხაზები ერთმანეთს ისე უნდა დაუდგნენ, რომ თითოეული მოთამაშის თავი უშუალო | მოპირდაპირე მეტოქის თავის მარცხნივ ხვდებოდეს და არ ეხებოდეს მეტოქის კისერსა და მხრებს.

2. 2018 წლის ნოემბერში, ინგლისი – ზელანდიის ტესტში მომხდარი გაუგებრობის გამოსარიცხად, ბოჭვაზე – 14.10 მუხლი [გვ.49] და რაქმი – 15.4 მუხლი [გვ.50] "თამაშგარეს ხაზი" ერთნაირად გაივლება:

მოედნის მთელ სიგანეზე -- "კარის ხაზის" პარალელურად, ~~ამ-გუნდიდან~~ ბოჭვის მონაწილეთა | რაქმი ჩაბმულთა "სხეულის ბოლო ნაწილზე" [და არა -- მხოლოდ ფეხზე].

2.1 სათანადოდ ჩასწორდა ნახატის წარწერაც [გვ.52]

3. "მსოფლიო რაგბის" თაოსნობით, საქართველოს, ფიჯის, საფრანგეთისა და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირებს დაეკისრათ რამდენიმე ნოვატორული იდეის გამოცდა ზოგიერთ შინაურ შეჯიბრში და ექსპერიმენტის შემკვეთისთვის სათანადო სტატისტიკის წარდგენა.

ცდა ეხება ფეხით თამაშს [დარტყმას] და ბოჭვას.

3.1 ჭაბუკთა "ა" და "ბ" ლიგებში გაისინჯება 50:22 [ორმოცდაათიდან ოცდაორში] და 22:50 [ოცდაორიდან ორმოცდაათში]

50:22 თუ შენი ნახევრიდან დარტყმული მიწას პირველად მეტოქის 22-ში დაეცა და კიდეზე გადავიდა – დერეფანი შენია.

22:50 თუ შენი 22-დან დარტყმული მიწას პირველად მეტოქის ნახევარზე დაეცა და კიდეზე გადავიდა – დერეფანი შენია.

3.1.1 "პირველად დაეცა" გამორიცხავს "გაგორებას" – ფეხით ისე დარტყმას, რომ ბურთი მიწაზე მიგორავდეს.

3.1.2 "დერეფანი" გამორიცხავს "უცებ შემოგდებას" [გვ.58]

3.1.3 სიახლეები მოქმედებს მხოლოდ "ღია თამაშში" – ძალაში არაა ცენტრიდან | 22-დან დარტყმის დროს.

3.1.4 22:50 არ მოქმედებს არც "22-ში შეტანილზე" – 18.8.დ მუხლი, მოედნის ვერ მოგება [გვ.61]

3.1.5 "22-მეტრა ხაზი" ეკუთვნის 22-ს.

3.1.6 "შუა ხაზი" ეკუთვნის "შენს ნახევარს" [50:22] და "მეტოქის ნახევარს" [22:50]

3.1.7 სიახლის მიზანია მეტოქეს აიძულოს, გადაკიდების შიშით უკან დახიოს გარე მარბები. ამით შემტევს მეტი სივრცე მიეცემა.

### 3.2 ჭაბუკთა "ბ" ლიგაში და ფესტივალებზე გაისინჯება "დაბალი ბოჭვა"

ამიერიდან მოთამაშეს მეტოქის შებოჭვა [დაჭერაც] შეუძლია "მხოლოდ ორი ხელით" და "წელსა და კოჭებს შორის".

\* სასჯელი: ჯარიმა.

3.2.1 "მსოფლიო რაგბის" ჩანაფიქრით, ამან თამაში უფრო უხიფათო და თვალ-სასიერო უნდა გახადოს, ჭაბუკებს კი ოფლოუდი და მიყოლა დაამუღამებინოს.

3.2.2 მიღებულ რეკომენდაციათა მიუხედავად, კლავაც **ნებადართულია:**

3.2.2.1 ორმაგი ბოჭვა – როცა ბურთიანს ერთბაშად ორი | რამდენიმე მეტოქე ბოჭავს.

3.2.2.2 გამოკვრა – როცა მეტოქეს მისდევ და კოჭში | წვივში ცალი ხელით მისწვდება.

3.2.3 **იკრძალება:**

3.2.3.1 განგებ გაწოლა მეტოქის ფეხებთან მის მოსაცელად

3.2.3.2 მეტოქის დაგდება სამოსში ცალი ხელის ჩავლებით

3.2.3.3 მეტოქისთვის გაშლილი | მოქნეული მკლავის დარტყმა

3.2.3.4 მეტოქის ლელოსთან გამართული "აიღე და მიეძალე"ს დროს დაყვინთვა – ნებადართულია გამართულად წინსვლა მოლის შესაქმნელად